№ 246

სამშაბათი, 17 ნოემბერი, 1898 წ

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 246

სამშაბათი, 17 ნოემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქუთაისში, საკრებულო ტაძარში, 19 ნოემბერს გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სტატსკი სოვეტნიკის

**დიმიტრი ივანეს ძის ბაქრაძის**

სულის მოსახსენებლად; რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა განსვენებულის შვილნი: **კონსტანტინე დიმიტრის ძე და ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძენი, ეკატერინე დიმიტრის ასული აბდუშელიშვილისა** და **სოფიო დიმიტრის ასული ჩხატარაიშვილისა.** 1—174—1)

**ქართული თეატრი**

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან

წარმოდგენილი იქმნება

I

— პირველად განახლების შემდეგ —

**ალერსთა ბადე**

კომედ. 4 მოქმ. გადმოქართულებული პ. უმიკაშვილისაგან.

დასასრულ

**დემონი**

ერთი სცენა ლერმონტოვის პოემიდგან, თარგმ. თ. მამ. გურიელისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

მოკლე ხანში დანიშნულია კ. მესხის ბენეფისი.

ტფილისი, 16 ნოემბერი

ჩინეთის საქმე ხომ ყველაზე მეტად მიზეზიანი გახდა ქვეყნისათვის. რა-კი შედარებით პატარა ქვეყანამ, იაპონიამ დაამარცხა ეს უშველებელი ჩინეთი, ევროპის დიდთა სახელმწიფოებმა დაბალი ღობე იქ დაინახა და ხარბი თვალი არხილა, თითქმის დაივიწყა თვით ევროპის საქმეები და მიესია დამარცხებულს ჩინეთს, რომ გამოჰგლიჯოს რამე. სურვილი ცოტად თუ ბევრად აისრულეს კიდეც, მაგრამ ფრანგები იტყვიან: მადა ჭამაში მოსდის კაცსაო და დიდნი სახელმწიფონი მას აღარ სჯერდებიან, რაც უკვე ხელთ იგდეს, კიდევ მეტი უნდათ. მხდალი და მართლა უღონო ჩინეთი დღეს ხელში სათამაშო ბურთად გაუხდათ.

ეს უბედური ჩინეთი თუმცა ტანით და ხორცით ერთი რაღაც უზარმაზარი ვეშაპია, მაგრამ ვისაც-კი არ ეზარება, ყველა ზედ მიჰსევია, ყურში ხელსა ჰკიდებს და ბაშვსავით ციბრუტივით ატრიალებს. აქაც რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის შური, მტრობა და სიხარბე არ იყოს, არც ერთს აწ ზედ მისეულს სახელმწიფოს ცალკე არ გაუპირდებოდა ეს უზარ-მაზარი, მაგრამ უღონო ქვეყანა ფეხ-ქვეშ ამოედო და ამ ყოფით ზედ შესჯდომოდა სახედნად. დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის ჯიბრი და ცილობა ინახავს დღეს ჩინეთს და იხსნის ამ უბედურობისაგან, როგორც დღეს აქამომდე ინახავდა და იხსნიდა ოსმალეთსა.

აქ, ჩინეთში, უფრო დიდი განსაცდელიანი სარბიელია ევროპის დიდთა სახელმწიფოთა ინტერესებისა, ვიდრე აფრიკაში, თუ სხვაგან სადმე ევროპის გარედ. ვაჭრობისათვის და საქონლის გასაღებისათვის ჩინეთი დიდს სახარბიელო ბაზარს წარმოადგენს ევროპისათვის, რომელმაც აღარ იცის სად გაასაღოს თავისი აუარებელი სავაჭრო საქონელი და ამის გამო იგი იძულებულია ან თავისი უთვალავი ფაბრიკები და ქარხნები გააუქმოს, ან გზა რაიმე აუჩინოს.

ამიტომაც ჩინეთი მეტის-მეტად სანატრელია ხელში ჩასაგდებად, ამიტომაც აქ, ჩინეთში, უფრო მწვავედ მიდის საქმე ერთმანეთში მორიგებისა და მოთავსებისა, ვიდრე სხვაგან სადმე. ყველაზე მეტად გულნატკენობს აქ ინგლისი, რომელსაც დღეს აქამომდე წინ აქ თითქმის არავინ ედგა და მარტოკა ბატონობდა. ეხლა აქ ფეხი აიდგა რუსეთმა და გერმანიამ, საფრანგეთმაც გაიწივ-გამოიწივა კარგა საგრძნობლად და ამ გარემოებამ შეჰხუთა ინგლისის ინტერესები. ამის გამო ინგლისი ძალიან ამრეზილია საფრანგეთზე და ნამეტნავად რუსეთზე. არც გერმანიაა მისთვის უშიშარი, მაგრამ იგი გერმანიას ისე არ უფრთხის ჩინეთში, როგორც რუსეთს და მისს მომხრეს საფრანგეთსა. ამბობენ, ეს გასწრაფებული და გამალებული საომრად მზადება ინგლისისა ჩინეთის მიზეზით უფროა გამოწვეული, ვიდრე სხვით რითიმეო. ინგლისის ახალშენთა მინისტრი ჩამბერლენი და ბევრნი წარჩინებულნი სახელმწიფო კაცნი, ბევრი ჟურნალ-გაზეთი პირდაპირ იძახიან, ყოველ განსაცდელისათვის მზად ყოფას ვარჩევთო, ვშიშობთ, განსაცდელი უეცრად კარზედ არ მოგვადგეს და თავდარიგს ეხლავ ვიჭერთო. საქმე ის არის, რომ განსაცდელს ჩინეთის საქმეებისაგან მოელიან და ამას არა ჰმალვენ.

ასე თუ ისე, ევროპის გარედ გამონასკულმა საქმეებმა ხმელეთზე ძლიერება ცოტა არ იყოს უკან დააყენა და რიხით ხმა ამოაღებინა ზღვაში ძლიერსა. ეს უექველი შედეგია დღევანდელთა საქმეთა ვითარებისა და გარემოებისა. ევროპის გარედ მოქმედებისათვის საომარი ხომალდები და გემებია საჭირო. ევროპის სახელმწიფონი ვერ მიაწვდიან ხელს ვერც აფრიკას და ნამეტნავად ვერც ჩინეთს, თუ არ ზღვითა. მარტო რუსეთს შეუძლიან ხმელეთით მიიშველიოს ჯარი, თუ ჩინეთში ასტყდა რამე, ისიც მაშინ, როცა დიდი გზა ციმბირისა თავიდამ ბოლომდე გაყვანილი იქმნება. ამას ერთი წელიწად ნახევარი ხანი უნდაო და ამ წელიწად ნახევარში ბევრი წყალი ჩაივლის. რუსეთს ერთი უპირატესობა კიდევ აქვს ინგლისის წინაშე: შესაძლოა ინგლისი იძულებულ იქმნას ხმელეთზე საომრად, თუ სახეში მივიღებთ ინგლის სამფლობელოს ინდოეთში და ამ მხრით რუსეთის ზედმისევას. აქ, რასაკვირველია, ხმელეთის ჯარის ძლიერება ანგარიშშია მისაღები და ამ მხრით მარტო რუსეთია მისთვის ყველაზე მეტად საფიქრებელი.

ზღვაში-კი ინგლისს ვერავინ გაუმაგრდება. არავინ არის ზღვაში ძლიერი ისე, როგორც ინგლისი. არავისა აქვს იმოდენი საომარი ხომალდები და გემები, არც ისე კარგად მოწყობილი ზღვის ჯარი ჰყავს, როგორც ინგლისს. აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ინგლისი ასეთის რიხით და ქადილით გამოვიდა მოედანზე და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხურით ლამის ყურები გამოუჭედოს ქვეყანას. ამ ზღვაში ძლიერებას უნდა უმადლოდეს ინგლისი, რომ ფაშოდიდამ გამოძევამ საფრანგეთისამ ასე მშვიდობით ჩაუარა იმისდა მიუხედავად, რომ საფრანგეთს გვერდთ უდგა ისეთი ძლიერი მომხრე, როგორიც რუსეთია. ტყუილად-კი არ იქადის ინგლისის მინისტრი ჩამბერლენი, რომ არავითარი კოალიცია ჩვენთვის საშიშარი არ არის ზღვაშიო: ძალა შესწევს ქადილსა, ეს აშკარაა.

ამ გარემოებისაგან, რომელმაც დღეს ასეთი მნიშვნელობა მისცა ზღვაში ძლიერსა, ინგლისი ყველაზე წინ წამოდგა, ინგლისი გაკადნიერდა და გათამამდა იმოდენად, რომ მუქარად შეექმნა ყველას. მისმა საომრად გაფიცხებულმა მზადებამ მთელს დიპლომატიას ევროპისას ძილი დაუფრთხო, აიყაყანა და შიშით აქედ იქით მიახედა. თვით გერმანიის იმპერატორის ადრე და მალე დაბრუნებას მცირე-აზიიდამ ამ გარემოებას აბრალებენ. ამ უეცარმა ამბავმა გუშინდელს მტერს, —ვინ იცის, —იქნება მტრობა დაავიწყებინოს და ინგლისის მომხრეობა ანატრებინოს. ყველაფერი შესაძლებელია: ძალა აღმართს ახვნევსო, ნათქვამია. თვითეულ სახელმწიფოს საქმეები ისე ჩახლართულია ერთმანეთში, რომ საკვირველი არ იქნება, საცა წვრილია, იქ გაწყდეს და საცა არა გვგონია, ნასკვის წვერმა იქ ამოჰყოს თავი გამოსახსნელად.

---

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ბათუმის სამაზრო ხაზინის ბუჰჰალტერის თანაშემწე პანკრატი ჟურული — ამავე ხაზინის ბუჰჰალტერის თანამდებობის აღმასრულებლად; გორის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელე მელქისედეკ კანდელაკი — იმავე გამგეობის მე-IX კლასის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად; რკინის გზის ფოსტალიონი კონსტანტინე კვიმსაძე და ალექსანდრე ნადაშვილი — ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის მოხელის თანაშემწეებად, დარაჯი გიორგი ჩოჩიშვილი — ამიერ-კავკასიის რკინის გზის დარაჯად.

დამტკიცებულ იქმნა კოლლეჟსკი რეგისტრატორის ხარისხში ტფილისის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელე ზუბალაშვილი.

---

## „ივერიის“ დეპეშა.

**ბათუმი.** 15 ნოემბერს მოხდა დამატებით არჩევანები ბათუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. არჩეულ იქმნენ: 12 ქართველი, 2 სომეხი და 1 რუსი. ბ-ნი გ. ი. ვოლსკი დიდის ხმის უმრავლესობით იქმნა არჩეული.

---

# ახალი ამბავი

*** შაბათს, 14 ნოემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ბაქოდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** ხვალ, 18 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში წარმოდგენა იქმნება გამართული ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის იმ შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ, რომელნიც წელს ათავებენ სწავლას.

*** კვირას, 15 ნოემბერს, ავჭალის ქუჩაზედ, სახალხო კითხვების სადგომში, სცენის მოყვარეთ სახალხო წარმოდგენა გამართეს. ითამაშეს მოლიერის კომედია „კრიჟანგი“. ჩვეულებრივ დარბაზი ხალხით იყო სავსე, თუმცა წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, მაგრამ მაინც კარგს იზამენ სცენის მოყვარენი, რომ როლების დასწავლას მეტს ყურადღებას მიაქცევდნენ. საზოგადოდ როლების დაუსწავლელობა ამ წარმოდგენების სცენის-მოყვარეთა სისუსტეს შეადგენს.

*** კავკასიის გზათა ოლქის გამგეობა შუამდგომლობს, რომ მომავალის წლისათვის კავკასიაში ახალის გზების გასაყვანად, ძველის შესაკეთებლად და ნავთ-სადგურების მოსაწყობად გადადებულ იქმნას 6,000,000 მანათი.

*** კვირას, 15 ნოემბერს, აკურთხეს ქალაქის თავ-შესაფარი სულით-ავადმყოფთათვის. კურთხევას დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ქალაქის მოურავი, ხმოსნები, გამგეობის წევრნი, მიხეილის საავადმყოფოს ექიმნი და სხვანი. თავშესაფარი მოთავსებულია კოჯორის ქუჩაზედ №№ 15 და 17.

*** კვირას, 22 ნოემბერს, საარტისტო საზოგადოების თეატრში დანიშნულია წარმოდგენა თავშესაფარების სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნება ა. ჩეხოვის პიესა „ივანოვი“. იმედია, ამ საქველმოქმედო წარმოდგენას საკმაოდ დაესწრება ხალხი.

*** 14 ნოემბერს მ. ფ. კლაუსის თავჯდომარეობით კრება ჰქონდა სახალხო კითხვების კომისიას. კრებამ განიხილა და დაამტკიცა განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული წესრიგი რუსულ-ქართულ და სომხურ წარმოდგენების გამართვის შესახებ. ამიერიდგან წარმოდგენების გამართვის საქმე უნდა განაგოს სამმა სექციამ, რუსულმა, ქართულმა და სომხურმა, რომელთა წევრებსაც საზოგადო კრება ირჩევს. ამავე კრებაზე არჩეულ იქმნენ სამისავე სექციის წევრები.

*** ქ. დუშეთში უკვე შესდგა, დუშეთის მამასახლისის მ. გ. კობიაშვილის თავმჯდომარეობით, სასანიტარო აღმასრულებელი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს საჭირო ზომები მიიღოს, რათა შავი ჭირი არ იქმნას შემოტანილი. კომისიის წევრებად არიან: მაზრის უფროსი ი. ი. ჩეხოვსკი, მაზრის ექიმი ა. ო. იაშვილი და ქალაქის საბჭოს წარმომადგენელნი მ. გ. დაფქვიაშვილი და ა. მ. მარტიროზოვი.

*** გაზ. „კავ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშითა სწერენ, რომ საერო განათლების სამინისტრომ წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი შესახებ იმისა, რომ თემირხანშურაში დაარსდეს სახელოსნო სკოლა.

*** წელს ტომსკის უნივერსიტეტის ახლად დაარსებულ იურიდიულ ფაკულტეტზედ საერო განათლების მინისტრის ნება-დართვით, მიღებულ იქმნენ ტფილისის სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი ივანე ზედგინიძე და მ. ნიკურაძე. საყურადღებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის არის, რომ ზედგინიძესა და ნიკურაძეს სემინარია, მეორე ხარისხით აქვთ დამთავრებული, ხოლო, როგორც უთუოდ მკითხველებს მოეხსენებათ, უნივერსიტეტში (ისიც მხოლოდ ზოგიერთში) პირველ ხარისხით სწავლა დამთავრებულთ იღებენ. ზემოხსენებულნი სემინარიელნი უფრო იმიტომ მიუღიათ, რომ მათ საზოგადო განმანათლებელ საგნებში კარგი ნიშნები ჰქონიათ.

** გაზ. „ახ. მიმ.“-ს სიტყვით დეკემბრის პირველ რიცხვებში ეჩმიაძინიდგან ტფილისში ჩამოვა სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩი.

** გაზ. „კავ.“-ს სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ავადმყოფობისა გამო, სამსახურს თავს ანებებს.

** ბაქოდგან დეპეშით სწერენ გაზეთ „კავკაზ“-ს: 13 ნოემბერს, საქართველოს ექსარხოსის კურთხევითა და მთავარ-მართებლის თავადის გ. ს. გოლიცინის თანადასწრებით, რუსეთიდგან გადმოსახლებულთა და მუშათათვის დასაარსებელ თავშესაფარის ფარდულის საძირკველი ჩაჰყარეს. მთავარ-მართებელმა ფარდულისათვის შესწირა 200 მანათი.

** ქ. ერევნიდგან „მშაკ“ დეპეშით ატყობინებენ, რომ 11 ნოემბერს ქალაქის საბჭომ ქალაქის მოურავად აარჩია ადგილობრივი ნაფიცი ვექილი ის. მელიქ-ალამალოვიო.

** „ახ. მიმ.“ სწერს, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ტფილისის საბალოსნო სკოლაში ამ ზაფხულს მომხდარ უწესოების გამოკვლევა, უკვე წარუდგინა თავისი მოხსენება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს. კომისია იმ აზრს დასდგომია, რომ საჭიროა დათხოვნილ იქმნენ საბალოსნო სკოლიდგან ამ სკოლის ყველა მასწავლებელნი და აგრეთვე ის მოსწავლენი, რომელთაც უწესოების ჩადენაში მონაწილეობა მიიღეს.

საზოგადოების საბჭო ჯერ-ჯერობით ვერავითარ გარდაწყვეტილებას ვერ დასდგომია.

** გორის მაზრის სოფ. გომიდგან სწერენ რუსულ გაზეთებს, რომ 11 ნოემბერს სოფ. აგარას მახლობლად აზნ. ქურდოვანიძის ტყის დარაჯმა, ოსმა ტიბილაშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა ადგილობრივი მემამულე რევაზ სიმონის ძე გვერდწითელიო. ამ დღეს ქურდოვანიძის მეურმეს ურმით შეშა მიჰქონებია ქურდოვანიძის ტყიდგან. ურემს ტიბილაშვილიც მისდევდა თურმე. როდესაც სოფ. აგარას მიუახლოვდნენ, წინ დაჰხვედრიათ რევაზ გვერდწითელი და უთქვამს, ეგ შეშა ჩემის ტყიდგან არის წამოღებული, ამიტომ აქვე ჩემს ეზოში დაცალეთო. ამასთან გვერდწითელი დაჰმუქრებია მეურმეს. ეს უკანასკნელი შეშინებულა და ურმიდგან გადმომხტარა. შემდეგ გვერდწითელსა და დარაჯს ტიბილაშვილს მოსვლიათ ლაპარაკი, რომლის დროსაც გვერდწითელს რევოლვერი ამოუღია. რევოლვერის დანახვისანათავე ტიბილაშვილს თოფი გაუსროლია და მძიმედ დაუჭრია გვერდწითელი. დაჭრილი მეორე დღესვე გარდაცვლილა. რევაზ გვერდწითელს შარშან აზნ. გიორგი ქურდოვანიძის მოკვლის ბრალი ედებოდა, მაგრამ სასამართლომ გაამართლა. ტიბილაშვილი შეიპყრეს და გორის საპყრობილეში დაატიმრეს.

** ქუთაისი. 8, 9 და 10 ნოემბერს აქ საშინელი ძლიერი ქარი ჰქროდა; ქარმა დიდი ზარალი მისცა ქალაქს: ბევრს სახლს მოჰგლიჯა სახურავი, ბევრს კედელი დაუნგრია, ბევრი ფარანი დაამტვრია. სხვათა შორის დააზიანა ჯაიანის სახლიც, სადაც მოთავსებულია სათავად-აზნაურო სკოლა: ღამის ათ საათზე ქარმა ერთ ოთახს მოაგლიჯა სახურავი და ეზოში გადასტყორცნა. ექიმ ნაზაროვის ეზოში აგურის გრძელი კედელი მოარღვია, ძირს დასცა და მშვენიერი ნამყენები წაუხდინა.

12 ნოემბერს ქუთ. სათავ-აზნაურო სასწავლებელში მობრძანდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი, რომელსაც თან ახლდა პოლკოვნიკი ბარათაშვილი. გუბერნატორმა დაათვალიერა ყველა კლასი, თვითეულს მათგანში 10--15 წამი დარჩა და მოისმინა გაკვეთილები, წასვლის დროს ინსპექტორს უთხრა, რომ შემდეგ კიდევ ვინახულებ სასწავლებელს და უფრო დიდ ხანს დავრჩები თვითოეულს კლასში.

** სომხურ ჟურნალ „არარატს“ სწერენ, რომ ეჩმიაძინის მახლობლად რიფსიმეს მონასტრის ერთს კედელზედ იპოვნეს ძველი წარწერა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურის ლიტერატურისთვისაო.

** 14 ნოემბერს ქალაქის მე-5 ნაწილის ბოქაულმა მიიღო ბაქოდგან თავის თანაშემწის ბ-ნ ბაბალოვისაგან დეპეშა, რომელშიაც ეს უკანასკნელი ატყობინებს სარქის მარტირუზოვის მკვლელის კონსტანტინე ვართანოვის პოვნის და დაპატიმრების შესახებ. ვართანოვი მკვლელობის მეორე დღესვე წასულა ბაქოში, სადაც დანიშნული ჰყოლია. ეს დანიშნული, რ. ა. 18 წლის ქალი წინად ტფილისში სცხოვრობდა თავის დედასთან ერთად. ვართანოვი ღარიბი მკალავი ყოფილა, სიონის ქუჩაზედ სახელოსნო ჰქონია. ამ ერთის თვის წინად დანიშნულს რ. ა.—ს გამოუცხადებია იმისთვის, რომ ცოლად მაშინ მოგთხოვდები, თუ ბევრს ფულს იშოვნი და კარგს მალაზიას გააღებო. შემდეგ ბაქოში წასულა. როგორც პოლიციას გამოუკვლევია, მკვლელობის დროს დანიშნულის დეიდაც ანნა ახშარუმოვიც დასწრებია და ლამფა სჭერია ხელში. ტომარა, რომელშიაც მოკლულის გვამი იდო, ქუჩაში ვართანოვსა და ახშარუმოვს გამოუტანიათ. 15 ნოემბერს ბ-ნმა ბაბალოვმა ვართანოვი ბაქოდგან ტფილისში ჩამოიყვანა. პოლიციამ დააპატიმრა აგრეთვე ქვრივი ანნა ახშარუმოვისა და გეურქა არუთინოვი, რომელთაც მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდებათ. არუთინოვი ნოქრად ყოფილა დახურულ ბაზარში, მარტირუზოვისა ჰმართებია 600 მანეთი. ვართანოვი, როდესაც მარტირუზოვი მოუკლავს, იმასთან წასულა და უკითხნია—მირჩიე, რა უყო მოკლულის გვამსაო. არუთინოვს ტომარა მოუტანია და იმაში ჩაუდვიათ გვამი. ამ დახმარებისათვის მას ვართანოვისაგან მაშინვე 100 მანეთი მიუღია.

## რუსეთი

— საფოსტო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას უმფროს ფოსტალიონის თანამდებობანი. ამ ფოსტალიონების მოვალეობა ის იქმნება, რომ თვალ-ყური ადევნონ დანარჩენ ფოსტალიონებს.

— „Рус. Л.“ სიტყვით, აზრადა აქვთ მერმის მოახდინონ ინტელიგენტ ოსების კრება. კრებამ უნდა შეიმუშაოს ოსურ მართლ-წერა და შეასწოროს ის წიგნები, რაც დღემდის ოსურს ენაზედ გამოუციათ.

— სასულიერო უწყებამ აცნობა ყველა ეპარქიის მღვდლებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან ყოველ ნახევარის წლის შემდეგ გაუგზავნონ სია ახლად-დაბადებულთა სოფლის მკურნალებს, რათა თავის დროზედ აუცრან ხოლმე მათ ყვავილი.

— ზღვათა სამინისტროსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მოჰკრიბოს ცნობები სახელმწიფო გემების ამშენებელ ქარხნების მუშების ყოფა მდგომარეობის შესახებ და შეიმუშაოს ზომები მათის მდგომარეობის განსაუმჯობესებლად.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა, რომელნიც შემოღებულ უნდა იქმნენ რუსეთის ყველა ქარხანასა და სავაჭრო დაწესებულებაში იქ მომუშავეთა განსაცდელისაგან უზრუნველ-საყოფლად და მათის ჯანმრთელობის დასაცველად. უმთავრესი ყურადღება ამ პროექტისა ჰიგიენურ ზომებზედაა მიქცეული. ყველა ქარხნისათვის სავალდებულო იქმნება, მაგალითად, რომ სამუშაო ოთახები საკმაოდ მოზრდილი და ნათელი იქონიოს.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი გუბერნიის ქალაქისა საქმეთა საკრებულოს გაფართოების შესახებ. საკრებულოში დაარსებულ იქმნება სამუდამო წევრის თანამდებობა, როგორც ეს გლეხის საქმეთა საკრებულოებშია.

— ხშირად სხვა და სხვა ქალაქის საბჭოები დაადგენენ ხოლმე—დაარსონ რომელიმე საქველ-მოქმედო დაწესებულება, თუმცა საჭირო თანხა-კი ამ საქმისათვის არ მოეპოვებათ. ეხლა, გაზ „Новое Время“-ის სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაავალა გუბერნატორებს დაამტკიცონ ხოლმე ქალაქის საბჭოთა მხოლოდ ის დადგენილებანი საქველ მოქმედო დაწესებულებათა დაარსების შესახებ, სადაც წყაროებიც არის ნაჩვენები ამ დაწესებულებათა შესანახად.

— „Новости“ სწერს, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა—პენსიები დედათა გიმნაზიის მასწავლებელ-ქალთაც დაენიშნოს ხოლმე.

— სახელმწიფო საბჭოში ამ ახლო მომავალში შეტანილი იქმნება პროექტი იმის შესახებ, რომ ოლქის სასამართლოს წევრებს ჯამაგირი მოემატოთ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც „Joural des Debats“ ამბობს, წარსულ წელში მალიან გაცხოველებულა საფრანგეთის წარმოება და აღებ-მიცემობა. იმდენი აბრეშუმეულობა დამზადდა თურმე ლიონში და გაიყიდა, რომ წინა წლებში ამის მაგალითი არავის უნახავს. ეგევე ითქმის ქვანახშირისა და ღვინოსის შესახებაც. მაგრამ მიმდინარე წელში საქმე სხვა ნაირად დატრიალდა. ხსენებული გაზეთის სიტყვით, წელს ისე დაუძლურდა საფრანგეთის წარმოებითი ძალა, რომ საზღვარ გარეთიდგან ზოგიერთ საქონლის შემოტანამ შესამჩნევად იმატა და საფრანგეთიდგან გატანამ-კი იკლო.

მაგალითად, 1897 წლის მოუსავლობისა გამო სხვა-და-სხვა საზრდო 465 მილიონით მეტი შეუტანიათ შარშანდელთან შედარებით, ხოლო 32 მილიონით ნაკლები გაზიდულა. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ფაბრიკის ნაწარმოებიც $11\frac{1}{2}$ მილიონით მეტი შეზიდულა, ხოლო 25 მილიონით ნაკლები გაუტანიათ. ამავე დროს შეუმუშავებელი საქონელიც 13 მილიონით ნაკლები გაუტანიათ და სხ.

საზოგადოდ გატანილი საქონელი შემცირებულა 75 მილიონით და იმავე დროს შემოტანილ საქონელს უმატნია 479 მილიონით. ასეთი სამწუხარო მოვლენა ძლიერ აფიქრებს გაზეთს, რომელიც კითხულობს—რითი უნდა აიხსნას ესაო? და თითონვე იძლევა პასუხს: შაიძლება ამერიკა-ისპანიის ომმა იქონია ამ საქმეზედ გავლენა, მაგრამ უფრო-კი შინაურის არეულობისა და გარეშე საქმეების აწეწ-დაწეწისაგან წარმოსდგება ესაო.

— „Figaro“ ამტკიცებს, რომ პიკარის საქმის შესახებ ფრეისინეს და ცურლინდენს რამდენჯერმე ჰქონდათ ერთმანეთთან თათბირიო. გაზეთის სიტყვით, საზოგადოება მადლობელი უნდა იყვეს სამხედრო მინისტრისა, რომ პიკარის საქმე ჩქარა გაირჩევა, რომლის გაჭიანურებაც სამხედრო სასამართლოს ძლიერ სურდა. გარდა ამისა, ეს საქმე საჯაროდ იქმნება განხილული და არა საზოგადოების დაუსწრებლად, როგორც სამხედრო სასამართლოს და ცურლინდენს უნდოდათო.

— საკასაციო პალატამ უკვე სამხედრო მინისტრად ნამყოფთ ჩამოართვა ჩვენება დრეიფუსის საქმის შესახებ, რომელთა ხელშიაც ამ საქმემ გაიარა. კავენიაკი, ერთ ერთი ასეთ მოწმეთაგანი, აცხადებს, როგორი ლაპარაკი მოუხდა მას პალატის თავმჯდომარესთან ჩვენების მიცემის დროს.

— ბ-ნო თავმჯდომარევ,—მიუმართნია კავენიაკს თავმჯდომარისთვის—მე მზათ ვარ მოვახსენო უმაღლეს სასამართლოს საიდუმლო „Dossier“-ის შინაარსი, სასამართლო თუ პირობას მომცემს, რომ ჩემი ჩვენების ეს ერთი ნაწილი საიდუმლოდ იქმნება დაცული.

პალატის თავმჯდომარეს ლეოს შეუწყვეტინებია ლაპარაკი კავენიაკისათვის და უთქვამს:

— ამის შესახებ პალატას არავითარის პირობის მიცემა არ შეუძლიან. ყველაფერი, რასაც თქვენ იტყვით, ჩაწერილი იქმნება, თქვენ მიერ შემოწმებული და თუ საჭიროება მოითხოვს, შესწორებული და შემდეგ დამნაშავის ვექილს წარუდგინება იგი.

ეს სიტყვები რომ მოვისმინე, ჩვენების მიცემა შევწყვიტე და წავედიო, ამბობს კავენიაკი.

**ფილიპის კუნძულები.** დეპეშამ უკვე გაგვაცნობა, რომ ამერიკასა და ესპანიას შორის მოლაპარაკება დასრულდა და ფილიპის კუნძულების შესახებ და ეს უკანასკნელნი ამერიკას დაუთმო ესპანიამო. მაგრამ ამერიკელებსა და კუნძულების მკვიდრთა შორის დამოკიდებულება ერთობ გამწვავებულია. ფილიპინელებს არაფრად მოსწონთ ამერიკელების ბატონობა და ცხადის დამოუკიდებლობას ამჯობინებენ. ამერიკის ჯარის მთავარ სარდალი ოტისს წინადადება მიუცია აგვინალდოსთვის, გაათავისუფლე ტყვები და საზოგადოდ ყველა ის ტყვე, რომელთაც ომში მონაწილეობა არ მიუღიათო. აგვინალდოს უთქვამს, რომ ტყუილია, ის ხმები, ვითომ ტყვეებს სასტიკად ვეპყრობოდითო და ოტისის წინადადება არ შეუწყნარებია. საბუთად ის მოუყვანია აგვინალდოს, რომ ვითომც ეხლანდელ ტყვეებთაგან თავისუფალი მეომრები მიდიოდნენ ესპანიის ჯარში და ამიტომ ესენი სამხედრო ტყვეებად უნდა ჩაითვალონო. დედაკაცები და ბავშვები; აგვინალდოს სიტყვით, უკვე გამოშვებულნი არიან სატუსაღოდგან. ზოგიერთი მათგანი თავისის სურვილით გაჰყვნენ ტყვედ წაყვანილ თავიანთ ქმრებს და შვილებსაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

წარსულ კვირას ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ცნობანი ზოგიერთ სახელგანთქმულ დედაკაცთა შესახებ.

ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილია კიდევ ზოგიერთი სიყურადღებო ცნობები. იტალიელი ქალი მარიამ ანიეზი საკმაოდ სახელგანთქმული იყო თავისს დროს. რამდენადაც თვისი სახელი შეამცირა მარკიზამ დე-შატლემ, იმდენად წმინდაა და დიდებულიც სახელი ანიეზასი. სიყრმიდგანვე ამ ქალს დიდი ნიჭი დაეტყო. 5 წლისა რომ იყო, იტალიურის გარდა, მშვენივრად იცოდა ფრანგული ენაც და 20 წლისა რომ შეიქმნა ჩინებულად სთარგმნიდა ბერძნულსა, ლათინურსა, ფრანგულს და ესპანიურს ენებზე დაწერილს წიგნებს. ასეთმა მეცადინეობამ ცოტა არ იყოს დაასუსტა ახალგაზდა ქალი და მკურნალებმა მოსვენება ურჩიეს. დიდხანს არ გაუვლია, რომ ანიეზას დედა მოუკვდა, ახალგაზდა ქალმა მეცნიერებას მიჰყო ხელი და კარგად შეისწავლა ალგებრა და გეომეტრია. შრომამაც დაუფასდა: 1747 წელს ანიეზა არჩეულ იქმნა ბოლონიის სამეცნიერო აკადემიის წევრად. იმავე წელს ანიეზამ გამოსცა თვისი სამეცნიერო თხზულება, რომელმაც დიდი სახელი მოუხვეჭა. მარია ტერეზიამ მშვენიერი საჩუქარი გამოუგზავნა და რომის პაპმა ბოლონიის უნივერსიტეტში დანიშნა მათემატიკის პროფესორად. მაგრამ ანიეზამ უარი სთქვა ამ თანამდებობაზე და გადასწყვიტა თვისი სიცოცხლე შეეწირა თავისს ორის ძმის აღზრდისათვის, რომელნიც ობლად და უმწეოდ დარჩნენ დედ-მამის სიკვდილის შემდეგ. ანტონის ტრივულცის სიუხვის წყალობით ანიეზამ 1783 წელს დააარსა თავშესაფარი 500 ღარიბ კაცისათვის. 1799 წელს ეს წმინდა, კეთილ-მორწმუნე მეცნიერი და ქველ-მომქმედი ქალი გარდაიცვალა და გვამი მისი დიდის პატივისცემით დაასაფლავეს მილანში.

დები გორტენზია ლეპოტ და კაროლინა გერშელი თავიანთ დროს ძლიერ განთქმულნი იყვნენ: პირველი მათგანი თვისის სილამაზითა და მათემატიკის ცოდნით, ხოლო მეორემ 1799 წელს შეადგინა სია 800 ვარსკვლავთა, რომლებიც არ იყვნენ აღნიშნულნი წინა წლით შედგენილს სიაში, აღმოაჩინა 7 კომეტა და დაჰბეჭდა რამდენიმე ჩინებული წერილი სამეცნიერო ჟურნალში. ამ ღვაწლის ჯილდოდ ლონდონის ვარსკვლავთ-მრიცხველმა საზოგადოებამ კაროლინა გერშელს მიუსაჯა ოქროს მედალი. დიდი სახელი დაიმსახურა აგრეთვე ფრანგმა დედაკაცმა სოფიო ჟერმენმა. მისი სახელი ეხლაც ეწოდება პარიჟის ერთს ქუჩასა და დედათა გიმნაზიას. სოფიო ჟერმენიც დიდი მცოდნე იყო მათემატიკისა.

შოტლანდიელი მეცნიერი დედაკაცი მერი სემერვილი დაიბადა 1780 წელს. ეს დედაკაციც კარგი მათემატიკოსი იყო დ̃, სხვათა შორის, დასწერა შესანიშნავი თხზულება „გეოგრაფია“, რომელიც ბევრით არ ჩამოუვარდება ჰუმბოლტის თხზულებას „კოსმოს“-ს. მერი სემერვილი წევრი იყო მრა-

ვალ სამეცნიერო აკადემიებისა და დედოფალმა ვიქტორიამ პენსიაც-კი დაუნიშნა. მეცნიერი დედაკაცი მერი სევერვილი ძლიერ მოხუცებული გარდაიცვალა დ, როგორც ამბობენ, სიკვდილამდე არ დაუკარგავს ის ღირსება, რომელიც არაოდეს საზარალო არ არის დედაკაცისათვის, ესე იგი სილამაზე.

დიდად ნასწავლი დედაკაცია ამ ჟამად კლემენტინა რუაიე, რომლის შესახებ რენანმა სთქვა „თითქმის გენიოსი არისო“. სამწუხაროდ, „თითქმის“ ანგარიშში არ ჩაიგდება. კლემენტინა რუაიემ აუარებელი სამეცნიერო წერილი დასწერა და უფრო ბევრი ლექცია წაიკითხა ლოგიკისა, საპოლიტიკო ეკონომიისა, ფიზიკისა და ანტროპოლოგიის შესახებ. გარდა ამისა კლემენტინა რუაიემ ფრანგულად სთარგმნა მეცნიერის დარვინის თხზულება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ნოემბერი

**რომი.** გარეშე საქმეთა მინისტრის კანევაროს თავმჯდომარეობით კონფერენცია დაიწყო ანარქისტთა წინააღმდეგ. კანევარომ კონფერენციას მისასალმებელ სიტყვით მიჰმართა. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის ელჩმა პაზეტიმ. კონფერენციამ შეიწყნარა კანევაროს მიერ წარმოდგენილი წეს რიგი კონფერენციისა და შეუდგა პროგრამის შემუშავებას. შემდეგი კრება ხვალ არის დანიშნული.

**პარიჟი.** მანტუიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ დააპატიმრეს ერთი იტალიელი, რომელზედაც გუმანია მიტანილი, ავსტრიის იმპერატრიცის მოკვლის საქმეში მონაწილეობას იღებდაო. ეს იტალიელი შვეიცარიიდგან ინგლისში მიდიოდა. „ფიგარო“ იუწყება, რომ ბერტიულიუსი შეუდგა ესტერგაზის გაცემის საქმეს. ესტერგაზის გაცემას იმ საბუთით მოითხოვენ, რომელიც წარმოაოგინა მაიორ ესტერგაზის ნათესავმა და რომელიც ბოროტმოქმედებაში ბრალსა სდებს მაიორს.

ფრეისინემ განაცხადა ცურლინდენის ბრძანება შესახებ იმისა, რომ პიკარი სამართლში იქმნეს მიცემული ყალბის საბუთების ქაღალდების შედგენისათვის.

15 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფა იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს ისაკიევის ტაძარში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ: დიდნი მთავარნი პავლე ალექსანდრეს ძე, კონსტანტინე და დიმიტრი კონსტანტინეს ძენი, მიხეილ ნიკოლოზის ძე, სერგეი მიხეილის ძე, პრინცი პეტრე ოლდენბურგისა და ჰერცოგი მეკლენბურგ-სტრელიცკი. დღითი ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული და საღამოს გაჩირაღდნებული.

**მადრიდი.** მონტერო-რიოსუს ბრძანება გაეგზავნა—განმეორებით აღიარე, რომ ესპანიის სრული უფლება აქვს ფილპეს კუნძულებზედ, მაგრამ ხელ-შეკრულობას ისე მოაწერე ხელი, რომ წინააღმდეგობას ნუ განაცხადებ, რათა დავაბოლაოთ საქმე, რომელიც, ასე რომ არ მოვქცეულიყავით, უარეს განსაცდელში ჩააგდებდა ესპანიასაო.

**პოტსდამი.** იმპერატორი და იმპერატრიცა მშვიდობით მობრძანდნენ.

**კონსტანტინეპოლი.** ადმირალებმა გარდასწყვიტეს კრიტში—ნება არ მისცენ ოსმალეთთის ჯარს კუნძულზედ გადასვლისა სამხედრო ნივთებით გემების დასატვირთად, არამედ თვითონვე დასტვირთონ გემები. სკრიდლოვმა 18,000 მანეთი მიიღო ღარიბ მუსულმანთათვის დასარიგებლად რეტიმნოში.

**პარიჟი.** „Pet. Republique“ და „Lanterne“ ამტკიცებენ, ვითომც შვარცკოპენი მოითხოვს—სამხედრო სასამართლომ დამიბაროსო, რომელიც პიკარის საქმეს გაარჩევს და იმას ოფიციალურად განვუცხადებ, რომ petit bleu—ნამდვილი საბუთის ქაღალდია, და მართლაც მე, შვარცკოპენმა, გავუგზავნე ის ესტერგაზსაო.

**შანხაი.** ბრიტანიის ესკადრის უფროსმა ბრიტანიის დროშა აღმართა ტინხაიზე და ჩუზანის არხიპელაგის ზოგიერთ სხვა კუნძულზედ. ჩუზანის მახლობლად იმყოფება ბრიტანიის 8 სამხედრო გემი.

**ვაშინგტონი.** ოფიციალური დეპეშა იუწყება ტიან-ძინიდგან, რომ აქ ამერიკის გემიდგან ზღვის სამხედრო რაზმი გადასვეს ამერიკის საელჩოს დასაცველად პეკინშიო.

**პარიჟი.** სენატის მემარცხენეთა დასების პრეზიდენტებმა სთხოვეს დიუპუის, ფრეისინეს და ლებრეს, პიკარის განსამართლება გადასდეთ საკასსაციო პალატის გარდაწყვეტილებამდეო. მინისტრებმა მოუსმინეს იმათ ისე, რომ ერთი შენიშვნაც არ მიუციათ. დიუპუიმ უპასუხა მხოლოდ, რომ ჩემს ამხანაგებს გარდავსცემ ამ თხოვნას და გარდაწყვეტილებას ხვალ შეგატყობინებთო.

**ათინა.** რუსეთის წარმომადგენელმა ონუმ, ოთხის დიდ სახელმწიფოს ელჩის სახელით, მეფეს აცნობა, რომ ბატონიშვილი გიორგი უზენაესს კამისრად აირჩია ოთხმა დიდმა სახელმწიფომ, რომელნიც კრიტის მფარველები არიანო. მეფემ თავისი ნება-ყოფლობა განაცხადა და მადლობა გარდაუხადა. ბატონიშვილმა განაცხადა, რომ ვეცდები ღირსეულად შევასრულო, რაც მომანდეს და მცხოვრებთა ორივე ნაწილი ერთმანეთ შორის მოვარიგოვო.

16 ნოემბერი

**შანხაი.** ხმა გავრცელდა, რომ ჩუზანის კუნძულებზე ინგლისელებმა თავიანთი ბაირაღი ამართესო. ეს ამბავი არავის სჯერა. ბრიტანიის საელჩოს ამ ამბის შესახებ არავითარი ამბავი არ მიუღია. უეჭველია ეს ამბავი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ გემის ნიშანი შეცდომით ბაირაღად მოეჩვენათ.

**პარიჟი.** პარიჟის სამხედრო გუბერნატორის მიერ დღეს გამოცემულ უწყებაში გენერალი ცურლინდენი ფორმალურად უარჰყოფს გაზეთების მიერ გავრცელებულს ამბავს, ვითომ პიკარის შესახებ მოქმედებაში იგი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით. ცურლინდენს არავითარი ბძანება არ მიუღია არც რესპუბლიკის პრეზიდენტისა და არც მთავრობისაგან. ცურლინდენმა მხოლოდ აასრულა კანონი.

**პარიჟი.** ბარბიეს, სენატის რესპუბლიკელთა დასების მინდობილობით, ბჭობა ჰქონდა დიუპუისთანა და ფრეისინესთან შესახებ იმისა, რომ სამხედრო სასამართლომ გადასდოს პიკარის საქმის გარჩევა. დიუპუიმ განაცხადა, რომ გადავსწყვიტე ხვალ პასუხი გავცე პალატას ამ საქმის შესახებ და ამიტომ ვსთხოვ სენატს დაუცადოს ჩემს პასუხსაო. ბარბიე რომ გავიდა დარბაზიდგან, დიუპუისა, ფრეისინეს და ლებრეს ბჭობა ჰქონდათ ხვალინდელ დეკლარაციის შესახებ. ჰფიქრობენ, რომ მთავრობა შეუძლებელად მიიჩნევს სამხედრო სასამართლოს მოწოდების დღის გადადებასაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ქ-ნ მარიამ სიმონის ასულს მიქაძისას და ვენერა ბერიძეს, რომელთაც ხიდისთავის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შემოსწირეს: პირველმა ხუთი ცალი ქართული წიგნი, ღირებული 2 მ. 65 კ., ხოლო მეორემ ექვსი ცალი რუსულ-ქართული წიგნი, 3 მ. 60 კ. ღირებული.

სამკითხველოს გამგე ერმილე შარაშიძე

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე-47 ჩვეულებრივის ტირაჟში, რომელიც იყო 1898 წელს, 7 ნოემბერს, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის $4^1/_2$% და 5% გირავნობის ფურცელთა.

$4^1/_2$% გირავნობის ფურცელნი.

500 მან. ღირ. № 13.

—

5% გირავნობის ფურც.

29 წლითა და 9 თვით.

100 მან. ღირ. №№ 50, 71, 83.

36 წლითა 4 თვით.

100 „ „ №№ 304, 309, 400, 635, 1496, 1539 და 2118.

500 „ „ №№ 45, 51, 63, 68, 86, 94, 100, 103, 104, 108. 114, 133, 135, 222, 322, 328, 329, 343. 362, 378, 421, 422, 426, 428, 430, 431, 445, 447, 448, 672, 680, 704, 708, 730, 735, 787, 796, 828 და 867.

1000 „ „ №№ 67, 116, 119, 151, 160, 235, 243, 278, 471, 503, 604, 611, 630, 640, 802, 814, 871, 877, 948, 987, 1086.

61 წლით და 8 თვით.

100 „ „ №№ 918.

5% უვადო.

100 „ „ №№ 151, 270, 271, 272, 273, 495, 698, 1228, 2322, 2443, 2446, 2447, 2903, 3260, 3627, 4270, 4424, 4766, 4784, 4854, 4925, 4926, 4929, 4946, 4969, 5045, 5361, 5382, 5472, 5832, 5959, 5998, 6281, 6572, 6573, 6574.

500 „ „ №№ 89, 90, 106, 146, 166, 171, 190, 197, 219, 294, 300, 328, 329, 346, 354, 366, 368, 401, 428, 449, 460, 469, 513, 514, 515, 592, 593, 603, 613, 646, 686, 687, 752, 783, 789, 805, 891, 987, 988, 989, 1025, 1035, 1201, 1241, 1315, 1318, 1354, 1375, 1383, 1402, 1405, 1410, 1442, 1451, 1456, 1493, 1494, 1495, 1506, 1535, 1542, 1574, 1579, 1601, 1626, 1629, 1692, 1693, 1695, 1711, 1755, 1756, 1778, 1903, 1934, 1980, 2031, 2032, 2033, 2034, 2036, 2131, 2132, 2153, 2216, 2419, 2424, 2426, 2434, 2436, 2537, 2594, 2866, 2892, 2897, 2898, 2899, 2900, 2901, 2977, 3012, 3014, 3137, 3196, 3304, 3382, 3383, 3401, 3466, 3469, 3586, 3590, 3608, 3633, 3635, 3636, 3637, 3638, 3644, 3662, 3702, 3894, 3901, 4018, 4088, 4107, 4464, 4612, 4613, 4614, 4615, 4759, 4848, 4855,

1000 „ „ №№ 18, 44, 67, 85, 229, 369, 318, 538, 601. 612, 744, 835, 1163, 1325, 1326, 1402, 1491, 1535, 1613, 1653, 1680, 1681, 1939, 1980, 2138, 2139, 2140, 2233, 2346, 2436, 2628, 2633, 2797, 2865, 2960, 3028, 3097, 3108, 3142, 3272, 3308, 3313, 3314, 3428, 3429, 3430, 3431, 3643, 3691, 3891, 4487, 4597, 4901, 4935, 5039, 5273, 5306, 5766, 5955, 5956, 5978, 6423, 6724, 6843, 6844, 6847, 7403, 7409, 7413, 7587, 8009, 8267, 8307, 8310, 8387, 8440, 8441, 8442, 8443, 8444, 8445, 8446, 8447, 8448, 8449, 8516, 8749, 9068, 9178, 9179, 9298, 9305, 9931, 9934, 10046, 10047, 10049, 10280, 10380, 10449, 10450, 10451, 10452, 10494, 10687, 11814, 12005, 12007, 12025, 12149, 12191, 12223, 12350, 12567, 12710, 12769, 12912, 13178, 13278, 13287, 13396, 13445, 13525, 14175, 14177, 14178, 15207, 15251, 15252, 15503, 16013, 16250, 16272, 17161, 17162, 17163, 17178, 17179, 17235, 17236, 17237, 17238, 17239, 17240, 17241, 17242, 17243, 17263, 17264, 17265. 17266, 17291, 17293, 17294, 17303, 17304 · 17305, 17306, 17307, 17922, 17923, 17924, 17925, 17926, 17927, 17928, 17929, 17938, 17942, 17943, 17944, 17945, 17949, 18133, 18138, 18139, 18140, 18141, 18142, 18143, 18144, 18145, 18146, 18147, 18148, 18149, 18331, 18332, 18333, 18334, 18604, 18607, 18611, 18615, 18616, 18663, 18665, 18664, 18667, 18666, 19096, 19095, 19098, 19097, 19100, 19099, 19102, 19101, 19103, 19104.

სარგებლის მატება იმ გირავნობის ფურცლებისა, რომელნიც მე-47 ტირაჟში გამოვიდნენ, მოისპობა 1899 წ. 2 იანვრიდგან. ამ გირავნობის ფურცლებზედ ფულის გარდახდა დაიწყება 1899 წ. 2 იანვრიდგან; ვადაზე ადრე წარმოდგენილნი გარდახდილ იქმნებიან გამოკლებით. დაკლებულ კუპონების ნაცვლად იმათი ფასი იქმნება დაჭერილი.

ამ გირავნობის ფურცლებით ფულის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში—ბანკის კასსაში,—პეტერბურგში—პეტერბურგის გამნაღდებელს (учетный) და გამსესხებელ ბანკში, ლიონის კრედიტში და ყველა მისს განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმისს განყოფილებაში. ი. ვ. იუნკერის და ამხანაგობის საბანკო სახლში; ქ. ოდესსაში—ბ-ნ ო. ხაისთან, მოსკოვში—მოსკოვის გამნაღდებელს ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმისს განყოფილებაში, ვარშავაში—ვარშავის საკომერციო ბანკში, ტაგანროგში—აზოვო-დონის საკომერციო ბანკში და ყველა იმისს განყოფილებაში, რიგაში—რიგის საკომერციო ბანკში და ყველა იმისს განყოფილებაში; და სახელმწიფო ბანკში და ყოველ ამ ბანკის კანტორასა და განყოფილებაში.

# განცხადებანი


Покупайте только
ЦВѢТОЧНЫЙ
О-ДЕ-КОЛОНЪ,
ИЗОБРѢТЕННЫЙ
Товариществомъ
Брокаръ и К°.




Этотъ о-де-колонъ употребляется какъ духи, туалетная вода и куренія.

Остерегаться поддѣлокъ.

(11—მ—7)


დაიბეჭდა და ისყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოე'ის“ წიგნის მაღაზიაში ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **კრილოვის არაკები**, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

2) **ამოდის, ნათდება!** და სხვ. მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

**ერეკლე მეფე და ინგილო ქალი** ქალი ი. გოგებაშვილის 5 კ.

3) **ვეფხის-ტყაოსანი**, ნაამბობი მოზრდილის ყმაწვილებისათვის გ. იოელიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—10)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

აქართველოს ისტორიისა და მწე(·)ლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა, . . . . | | 20 |
| წყარო წიგნი II მისივე . | „ | 50 |
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 10 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| წყარო არ. ქუთათელაძისა I წიგნი . . . . . . | „ | 40 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 10 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ბიროემანსი. კარგარეთელისა . . . . . | 1 | „ |
| ყვავილთა შორის საყმაწვილო წიგნი სურათებით, | | |
| მშვენიერის ყდით . . | 1 | „ |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით და მშვენიერის ყდით . . . | 1 | „ |
| სურათი მეფე ერეკლესი ყმაწვილობის დროს . | „ | 25 |
| ანბაზე საკერი ანბანი . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ოაჲი . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურა- | | |

# „ივერია“

**1899** წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. | — კ. | | 6 თვით | 6 მ. | — კ. |
| 11 „ | 9 „ | 50 | | 5 „ | 5 „ | 50 |
| 10 „ | 8 „ | 75 | | 4 „ | 4 „ | 75 |
| 9 „ | 8 „ | — | | 3 „ | 3 „ | 50 |
| 8 „ | 7 „ | 25 | | 2 „ | 2 „ | 75 |
| 7 „ | 6 „ | 50 | | 1 „ | 1 „ | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე, ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, გაზეთი გაეგზავნება პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი— 8 კაპ., პირველზე— 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი —30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი – 60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 21.


Большой Семейный иллюстрированный и литературный журналъ.

## ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ

шестьдесятъ четвертый годъ изданія.

Издаваемый Спб. Акціон. Общ. печатнаго дѣла „ИЗДАТЕЛЬ“, подъ редакціею извѣстнаго писателя А. К. ШЕЛЛЕРА (А. МИХАЙЛОВА).

Съ 1-го января 1897 года изданіе журнала „живописное обозрѣніе“ перешло въ собственность Спб. Акціонернаго общества печатнаго дѣла „ИЗДАТЕЛЬ“,

Приступая къ дальнѣйшему издательству журнала „живописное обозрѣніе“, Правленіе Общества „ИЗДАТЕЛЬ“ употребило всѣ зависящія отъ него усилія, чтобы въ 1898 году журналъ „живописное обозрѣніе“ отвѣчалъ современнымъ требованіямъ большого художественно литературнаго журнала, какія предъявляются лучшимъ, заграничнымъ изданіямъ этого рода.

Въ журналѣ въ теченіе года были помѣщены копіи-гравюры съ выдающихся картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ, появившихся на различныхъ выставкахъ или музеяхъ. Помимо этого, журналъ увеличилъ число картинъ въ каждомъ нумерѣ, что дало возможность посвящать рисунки-автотипіи самымъ разнообразнымъ сторонамъ жизни—новѣйшимъ научнымъ открытіямъ, этнографіи и современнымъ событіямъ. Въ литературномъ отдѣлѣ журнала „ЖИВОПИСНОЕ ОБОЗРѢНІЕ“ въ 1898 году были помѣщены большія оригинальныя произведенія, романы „Великій старикъ“ **В. И. Немировича-Данченко**, „На сѣверѣ“ **Д. П. Муравлина (кн. Голицына)**, „Особый міръ“ **В. А. Рышкова**, „Полая вода“ **А. И. Лемана** „Побѣдители“ **З. Н. Гиппіусъ**, „Наслѣдство“ **А. М. Ѳедорова**, не считая мелкихъ по размѣрамъ повѣстей и разсказовъ. Изъ иностранныхъ романовъ журналъ своевременно далъ переводы „Парижъ“ **Э. Золя**, „Опора семьи“ **А. Додэ**, „Арахнея“ **Г. Эберса** и др.

Въ наступающемъ 1899 году будутъ приложены Правленіемъ и Редакціей всѣ силы къ тому, чтобы еще болѣе улучшить и оживить журналъ какъ въ художественномъ, такъ и въ литературномъ отношеніяхъ, что возможно только изданію, имѣющему въ своемъ распоряженіи, кромѣ пятидесяти двухъ объемистыхъ по формату и числу листовъ еженедѣльныхъ нумеровъ, еще двѣнадцать книгъ формата большихъ ежемѣсячныхъ журналовъ.

Въ 1899 журналъ „Живописное Обозрѣніе, не возвышая подписной цѣны, дастъ гг. подписчикамъ

**ДВА САМОСТОЯТЕЛЬНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ИЗДАНІЯ:**

**52** 1) ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ СЕМЕЙНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ— ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ НУМЕРА изящной литературы ИСКЛЮЧИТЕЛЬНО ИЗВЕСТНЫХЪ РУССКИХЪ и ИНОСТРАННЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ. Каждый нумеръ состоитъ, въ общемъ, изъ 2½—3-хъ листовъ большого формата, отпечатанныхъ на роскошной БѢЛОЙ БУМАГѢ 7—10 рисунками. **52**

ПРИ НУМЕРАХЪ ЖУРНАЛА, МЕЖДУ ПРОЧИМЪ, ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ВЫДАЕТСЯ: I. 12 НУМЕРОВЪ „Парижскихъ Модъ“ съ рисунками.—II. 12 РАСКРАШЕННЫХЪ КАРТИНЪ (модные дамскіе костюмы и рукодѣлія).—III. РИСУНКИ ДЛЯ ВЫШИВКИ бѣлья, платьевъ и костюмовъ— шерстью, шнурками, шелкомъ, золотомъ и проч.—IV. 12 ВЫКРОЕКЪ въ натуральную величину.— V. РИСУНКИ ДЛЯ ВЫПИЛИВАНІЯ (оригинальные) разныхъ изящныхъ предметовъ, полезныхъ въ хозяйствѣ.—VI. 12 НОВѢЙШИХЪ МУЗЫКАЛЬНЫХЪ ПЬЕСЪ (романсы, танцы и проч.—VII. СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, оппечатанный цвѣтными красками.

2) ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ЛИТЕРАТУРНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ

**ДВѢНАДЦАТЬ БОЛЬШИХЪ ТОМОВЪ**

Каждый томъ выходитъ ежемѣсячно (1—10 числа) въ форматѣ книгъ большихъ журналовъ объемомъ 20—22 печатн. листа. Въ составъ каждаго тома входятъ: НОВЫЕ РОМАНЫ, ПОВѢСТИ, РАЗСКАЗЫ (РУССКИХЪ и ИНОСТРАННЫХЪ ПИСАТЕЛЕЙ), а также СТИХОТВОРЕНІЯ ЛЮБИМЫХЪ ПОЭТОВЪ. Кромѣ того въ 1898 году, въ этихъ томахъ бядутъ помѣщаться НАУЧНЫЯ, СЕЛЬСКО-ХОЗЯЙСТВЕННЫЯ НОВОСТИ, БІОГРАФІИ, БИБЛІОГРАФІЯ и СМѢСЬ.

**ПОДПИСНАЯ ГОДОВАЯ ЦѢНА ПРЕЖНЯЯ.**

**НА ГОДЪ** съ дост. по Имперіи: **8** р.—Безъ доставки въ Спб. **7** р.—въ Москвѣ **7** р. 75 К

На полгода (съ доставкою по Имперіи) 4 р.—На три мѣсяца 2 р.—Заграницу; на годъ—16 р

Разсрочка взносовъ на другіе сроки допускается, но по соглашенію съ Главною Конторою.

ГЛАВНАЯ КОНТОРА ЖУРНАЛА: СПБ., НЕВСКІЙ ПРОСП., Д. № 68—40.


# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 ოქტომბრისათვის 1898 წლისა.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | 12649 | 61 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . | 4091 | 30 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . | 50000 | — |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . | 2317 | 25 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . | 196174 | — |
| VII. გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . 1441— 50 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 10512— 70 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . 10494— — | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3686— 63 | 26134 | 83 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . | 173 | 37 |
| IX. მოწყობა-მომართვა . . . . . | 887 | 12 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 8 | 13 |
| XI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | 374 | 69 |
| XII. მიმდინარე ხარჯი . . . . . | 7100 | — |
| XIII. პროტესტში წასული თამასუქები . . . | 955 | — |
| ს უ ლ | 301865 | 30 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 648 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . | 70156 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | 2413 | 88 |
| III. შემოტანილი ფული: | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 120706—45 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . 93780—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . 700—— | 215186 | 45 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . | 1333 | 96 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . | 655 | 98 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . | 14 | 39 |
| VII. მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | 11455 | — |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . | 500 | — |
| IX. მოგებისა და ზარალის ანგარიში . . . . | 149 | 64 |
| ს უ ლ | 301865 | 30 |
| პასუხის-მგებლობა 648 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . | 631404 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . | 2900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . | 950 | — |

(1—ნ.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოთ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას 6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანგებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Ноября 1898 г   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.   რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**